კვირა, 11 აპრილი 1920 წ. ფასი 10 მან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მათრახი

სატირული ჟურნალი

№ 1

სანამ ქაღალდს მივიღებდეთ სამინისტროსაგან, ჩვენი ჟურნალი გამოვა დრო-გამოშვებით. რედაქციის მისამართი: თბილისი, სტამბა „სორაპანი“, თეოფილე ბოლქვაძეს. გამყიდველებმა და აგენტებმა უნდა მიმართონ კანტორა „განათლებას“.

სხვა-და-სხვა მიზეზების გამო ჯერ-ჯერობით „ხათაბალას“ მაგივრად გამოდის „მათრახი“.

E-5765

ა ღ დ გ ო მ ი ს   პ ა ს კ ა.




**პირველი მინისტრი.** ამხანაგებო! მტრები ვერ ნახავს ჩვენი პასკის გემოს, მაგრამ ზოგი შინაური წუწკი მოხელეები თუ არ ავლაგმეთ, სულ მთლად გამოხრავენ ჩვენს პასკას და გამოგვითხრიან ძირს.

## სახათაბალო.

ჯერ აღდგომა არ გათენებულიყო.

ჟურნალი „ხათაბალა“ ელექტრონის მანქანაზე გაცხარებით იბეჭდებოდა და მისი რედაქტორი სიამით ილიმებოდა, რომ ამ დროს მან მიიღო სასწრაფო მოწერილობა უმაღლესი კომისარისაგან:

—„შენ, ეი, ხათაბალა რედაქტორო! როგორც გავიგე, რაღაც არაჩვეულებრივი ჟურნალი გამოგიცია და მასში ისეთი სახათაბალო ამბების წერა განგიზრახავს, რასაც ვერც ერთი ჩვენი მოქალაქე ვერ შესძლებს. წინადადებას გაძლევ დაუყოვნებლივ შესცვალო შენი ჟურნალის ფრონტი და ისეთი მიმართულება მისცე, რომ ჩვენს მოკეთეებს, ამხანაგებს, მინისტრებს, მოხელეებს, კომისარებს და სხვ ყველას მოეწონოს. წინააღმდეგ შემთხვევაში შენი ხათაბალა შენს თავზე დაგატყდება.—პირველ ყოვლისა ვერ მიიღებ სამინისტროსაგან ვერც ერთ ფურცელ ქაღალდს, აგენტურებს და გამყიდველებს შენს ჟურნალს არ გავაყიდვინებთ. მხატვრები სურათს არ დაგიხატავს, ცინკოგრაფია კლიშეს არ გაგიკეთებს, ზოგი იუმორისტიც ჩამოგშორდება და ბოლოს შეიძლება შენ თითონ მოგაშოროთ ამ დედა ქალაქს, სადაც ოცი წელიწადია სცხოვრობ და სადმე პროვინციაში გაგაგზავნოთ“.

—

რედაქტორს ამის წაკითხვით მეხი დაეცა. ერთი დ[illegible]რიალა—მიშველეთო და მანქანისაკენ გაეშურა [illegible]ამკლავებული.

შეაჩერა ჟურნალის ბეჭდვა და სწრაფად დაიწყო წერილების გადასწორება.

პირველად მან გამოსცვალა ეს „სახათაბალო“ სათაური და ჩასვა ძველი მისი საყვარელი „მათრახი“, რომლისთვის წინად, კარგ დროში, ერთი წელიწადი მუქთად „ქეიფობდა“.

წერილებს სარგის კაკაბაძის და პოლუმორდვინოვის უსასტიკესათ უყო „ცენზურა“.

თან ასწორებდა და თანაც კითხულობდა:

—

„მომარაგების სამინისტროში დიდი წესიერება სუფევს, გამნაწილებელ განყოფილების უფროსი ქაღალდს ყველა გამოცემებს უნაწილებს“.

—

„დიდუბის სასურსათო განყოფილებაში, ახლა რა მოგახსენოთ და წინათ—დიდი წესიერება სუფევდა. მთავრობას იქ ბევრი ქონება შესძინეს“.

—

„სოფლებში ჩვენი ერობის გამგეობის [illegible] თაოსნობით საქმე კარგათ მიდის. გზები [illegible]ულია, ელექტრონი გაყვანილია. დამშეულ ხალხს დიდძალი სანოვაგე მიაწოდეს იაფ-ფასებში“.

—

„ერთი ვინმე კოხტა ბიჭი
იყო დიდი კომისარი,
მას შესწევდა საქმის ნიჭი,
არ უყვარდა სულ „ქანქარი“.
ალმატების ნაცვლად იმას
საქმე უქნეს ძაან ცუდი,
დაიჭირეს და ციხეში
დაამწყვდიეს, როგორც ქურდი“.

—

„ჩვენი ქალაქის გამგეობა ბინების საკითხში მეტად სამართლიანად იქცევა. ვისაც ეჭირა 5—6 ოთახი, ყველას შეუმცირა და გაუნაწილა უბინაოთ დარჩენილებს“.

—

„ამაზე კარგი დროება
მე არ მინახავს—აროდეს,
გილოცავთ ქრისტეს აღდგომას
მკითხველო,—გაგიხაროდეს.
იქეიფეთ და ილხინეთ,
ტანჯვა-წვალებას მორჩითა,
ნაირ-ნაირი საჭმელი
„სტოლზე“ მოგივა ხონჩითა“.

—

„ჩვენი რესპუბლიკის ზოგზოგი მოხელენი სინდისიერათ დგანან თავის ალაგას და ენერგიულათ.....

— კაცო, რას ბუტბუტებ, შუადღე გახდა ადექი ზეზე, საალდგომო „პრავეზია“ უნდა მოიტანო რამეო,—ჩაესმა ყურში რედაქტორს და გაახილა თვალები.

— ოჰ, მადლობა ღმერთს, სიზმარი ყოფილა,—წაიმოსთქვა მან სიხარულით,—მაგრამ როცა გახსენდა, ხვალ აღდგომა არისო და მას კი არც გოჭი ჰქონდა, არც პასკა და არც წითელი კვერცხები—ისევ დახუჭა თვალები და სასიზმროდ მოემზადა.

ეშმაკის ფეხი.



## ქრისტე აღსდგა!

ეს ოვაკიმა რამ გააგიჟა —
ზამთარ-ზაფხული ერთი ჰგონია,
ამხირებია — ქრისტე აღსდგაო,
ძალად მარწმუნებს, გაგიგონია?!
მაშინა მწამდა, როცა ბატკანი
ექვს — შვიდ აბაზად იყიდებოდა
და რა თქმა უნდა — სამ თუმნიანი
ქრისტე საფლავით წამოდგებოდა.

—

ეს ასატურაც რაჰ გადარია
ქრისტე აღსდგაო, გადამეკიდა,
ხელში ეჭირა ჰლერქი ქათამი —
სამას მანეთათ ძლივს რომ ეყიდა.
უთხარი: ძმაო მე ეგ არა მწამს,
ხათაბალა ხარ? ნეტავ რას მერჩი!
მაშინა მწამდა, როცა ორ თუმნად
იყიდებოდა თითო კამეჩი.
ოცდა ათ ვერცხლად კაცი რომ ღირდეს
აბა ის მკვდრეთით როგორ აღსდგება?
თუნდაც რომ აღსდგეს ამ ძვირობაში
განა ცოცხალი ქვეყნად დასდგება?

—

ვაჰ ეს ივანეც სად შემეხეჩა,
ქრისტე აღსდგაო დღევანდელ დღესო,
რომელმაც ჩვენთვის თავი გასწირა
და იუდებმა კი გაჰყიდესო.
მე ეგ არ მჯერავს, ჩემო ივანე,
იცი რატომა? — მომაპყარ ყური,
სამ თუმნიანი ვით აღსდგებოდა,
როცა ოთხ თუმნათ გაგვიხდა პური?!
ეგ მაშინ იყო, როდესაც ხალხსა
ჰქონდათ სინდისის კრძალვა და რიდი,
ხორბალსა ჰყიდდენ ოთხ აბაზათა
და ცხრა შაურათ — ფუთი სიმინდი.
მაშ ნულარ მეტყვი მაგის შესახებ
ეხლა მშვიდობით, გასწი და წადი,
აღდგომის პასკა როგორ ვიყიდო
თორმეტ მანეთად რომ ფასობს შკადი?!

—

მას დავეთხოვე, უცებ შემოხვდა
სიცილ ღრეჭითა ჩვენი ვასილი,
ქრისტე აღსდგაო ჯვარცმა მკვდრეთითო
ნაზარეველი იოსების შვილი.
მასაც უთხარი, ვერ დამაჯერებ —
რომ წინ დამიწყო ქვეყნის ხატები,
მხოლოდ ეს მჯერავს, რომ გაგვიმრავლდენ
მძარცველები და სპეკულიანტები.
მშიერ მოცელზე ვერ დამარწმუნებს
მკვდრეთით აღდგენას, ვფიცავ ჩემს თავსა,
მართლა რომ აღსდგეს თვით მაცხოვარი,
ვინლა გაბედავს გვაძრობდეს ტყავსა.

ან. განჯისკარელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქურდი კრავი

ერთს პატარა სოფლის მისავალთან გზის დუქანთან მეურმეებმა გააჩერეს ურმები, რომელთა შორის ერთ ურემზე გუთანი ედო და თვითონ შევიდნენ დუქანში ყელის ჩასასველებლათ. ვიდრე გამოვიდოდნენ დუქნიდგან, გუთანი ურემზე აღარ დახვდათ. მაშინათვე გამოუცხადეს სოფლის კომისარს, კომისარმა უეზდნი კომისარს. რასაკვირველია, უეზდნი კომისარი მეორე დღეს შეუდგა ჩხრეკას: ჯერ ზემოხსენებული მედუქნე გაჩხრიკა, როგორც წესია ერთი ჰიქა ბოთლი და კვარტი არ დაუტოვებია გაუჩხრეკავი, თითქმის ღვინოში და ზაკუსკაშიაც ეძებდა. რასაც თვალი ვერ არჩევდა, იმას გემოთი სინჯავდა, ცოტა არ იყოს აქ ჩხრეკის დროს თავ ბრუ დაესხა. ახლა გაისეირნა იქვე მახლობელ თათრების სოფელში, იქაც პატიოსნურად შეასრულა თავისი თანამდებობის მოვალეობა, დაჩხრიკა თითქმის ყოველი კუთხე კუნჭული, მაგრამ გუთანი ვერსად ვერ აღმოაჩინა და ბოლოს ერთს ხუთი თუ ექვსი დღის კრავს შეასწრო თვალი.

აააა! ააა! აა! გუთანი სწორედ ამას გადაუყლაპია, ეს უნდა წავიყვანო საკომისარიატოში და თუ აღდგომამდის გუთანს არ გამოაჩენს, აღდგომას მე თვითონ გამოვაჩენინებო — გაუყენა გზას.

თითონ იცის

## აღდგომისათვის.

როს მაცხოვარი ჯვარს გააკრეს,
ჩვენ შემოგვწირა მან მსხვერპლად თავი
და დღეს მის მტრების სამაგიეროდ
იხოცებიან გოჭი და კრავი.
რისთვისა ვხოცავთ, რა დააშავეს
ამ საცოდავ და უმანკოებმა?
ნუ თუ მათ აცვეს ჯვარს მაცხოვარი! —
ამას ვერ მივხდით ჩვენ უჭკუებმა.
ან, შეიძლება, სძულდა იესოს
გოჭი, კრავი და კვერცხი, ქათამი?

ის ხომ არ იყო იუდასაგან
ქრისტეს გაყიდვის მაცდური ქრთამი?!
ჩვენც კი ამ საწყლებს გაუსვით ხელი,
ვხოცავთ და ვხოცავთ დაუნდობელად.
უმანკო სისხლით ვრწყავთ ქვეყანასა —
ქრისტეს ღირსების შესამკობელად.

გან-კანი.

# საადგომო ვაჭრობა.

ჩემი დედაკაცი ჩამაცივდა:

გინდა თუ არა ქალაქში უნდა ჩახვიდე სავაჭროთაო.

ვეუბნები: დედაკაცო, რამ გადაგრია, რა დროს ვაჭრობაა? ყველაფერი მამასისხლათ არის. არა, რომელი მილიონჩიკი მე მნახე, რომ ქალაქში სავაჭროთ წავიდე! აკაკი ხოშტარიამაც კი ვერ გაუძლო ქალაქის სიძვირეს და ლონდონში წავიდა.

— აი, მეხი კი დაგაყარე. ხოშტარიას დაადარე თავი. ხომ არ გინდა ბერიძესაც შეედარო. ნახე, ხოშტარიამ, რა არ მოიტანოს. მე ვიცი, მასაც შვილები ფეხშიშველა და ტანთშიშველა დაუდიან.

— ხოშტარიას შვილები არა ყავსო, გაზეთში წავიკითხე.

— სულ ერთია, შვილიშვილები ეყოლება, დისწულები... ბევრ ლაპარაკს თავი დავანებოთ. დედმამის სული წაგიწყდეს, თუ ქალაქში არ წახვიდე სავაჭროთ.

— მერე რა გინდა, რომ მოგიტანო.

— ჩაი, შაქარი, ნავთი, საპონი, ნემსი, ძაფი, ჩითი, ტილო, — საკაბე მე, მაროს, მელანოს, სოფიოს და ფეხსაცმელი მე, მაროს, მელანოს, სოფიოს, კიკუას, მალხაზას. საპერანგეები მე, მაროს, მელანოს, სოფიოს, კიკუას, მალხაზას, შენ დედამთილს საკაბე, ლეჩაქი, ფეხსაცმელი...

— სხვა აღარა გინდა რა? ვინ მომაშავა მაგოდენა ფული?

— ოხრათ დაგირჩეს, ცოტა გიყრია ზანდუკში? ეს ნიკოლოზისაო, ეს კერენსკისაო, ეს რაღაც ბონბონებია! . მა რა ოხრათ გინდა?

— მე კი არ მინდა სხვებიც არ იღებენ.

— ქათამი წაიღე ქალაქში, კვერცხი. გაყიდე და იყიდე ყველაფერი.

გავბრიყვდი, დაუჯერე დედაკაცს და ჩამოვედით ქალაქში გათენებისას. ბერუამ მითხრა: ბიჭო, ჯერ ადრეა, მოდი პალიკმახერთან შევიდეთ, თავი გავაკრეჭინოთ და პირი გავაპარსინოთ.

— არა, მუდრეგო, რომელი ბურჟუები ჩვენა ვართ, სოფელში გიგოლა დალაქმა ველარ გაგვპარსა?

— ეხლა ბურჟუები აღარ არის. ჟორდანია, რამიშვილი, გიქულა შენა და მე ყველანი აფხანიკები ვართ, პროლეტარები.

გავბრიყვდით. თავის გაკრეჭაში და პირის მოპარსვაში პალიკმახტერმა ასი თუმანი გვთხოვა.

კაცო, ღმერთი არ არის? ბატკნის თავი მოხარშული ერთი თუმანია, შენ მარტო თავის გაკრეჭაში ას თუმანს მახთევინებ...

— მერე შენ აღდგომის ბატკანი ხარ? მა რა გიყო? თითო მაკრატელში ათასი თუმანი მიმიცია, საპონი გირვანქა ასი თუმანი ღირს.

რაც ფული გვქონდა სავაჭროთ, ნახევარი იმ ვერანა პალიკმახტერმა წაგვართვა. კიდე არ გამაბრიყვა ბერუამ? ეხლა დუქანში შევეხეტეთ. თითო არაყი დავლიეთ, ხაში ვჭამეთ და ნახევარი თუნგი ღვინო დავაყოლეთ. დაგვიჯდა სულ ხუთასი თუმანი. გამოვედით ბაზარში ცარიელი ჯიბეებით და დავიწყეთ ვაჭრობა. კვერცხი და დედლები მამასისხლათ დავყიდეთ და ეხლა საყიდლათ გავეშურეთ.

ჩაი და შაქარი უნდა გვეყიდნა. ვისაცა ვკითხეთ სიცილი დაგვაყარეს. არა, რომელი მილიციის ხალხი ხართ, რომ ჩაის დალევა გინდათ? რა თქვენი საქმეა. თუ სამოვრები გაქვთ, ჩამოიტანეთ თითოში ათას თუმანს მოგცემთო. ვერც ნავთი ვიშოვეთ. თვეში ერთხელ მოაქვთო ნავთი ტფილისში, ერთი თვე კიდევ ოჩერედში უნდა იდგეო. ვერც ნემსი და ძაფი ვიყიდე, ვერც საპონი, ვერც ჩითი და ვერც ფეხსაცმელი. საქონელი აღარ იკვლისო.

წამოვედით მე და ბერუა ქალაქიდგან ცარიელ-ტარიელები. გაჯავრებულ გულზე დუქანში შევედით და კარგა ლაზათიანათ ჩავითვერით. რაც ბონბონები გვქონდა მედუქნეს მივახალეთ ჯაუმაძღარს თავში და სახლში წავედით. დედაკაცმა ტირილი დაიწყო. ამოვიღე ჯიბიდან აბრეშუმის ბაღდადი, ქალაქში რომ ვიყიდე ას თუმნათ, და ვუფეშქაშე — აჰა, ცრემლები მოიწმინდე.

ესეც შენი ვაჭრობა! ნეტა ის კვერცხები და დედლები ჩვენ გვეჭამა...

შავგრემანი

ეროვნული ბიბლიოთეკა



სპეკულიანტების განცხრომა სააღდგომოთ.

## ზალიკაის წერილი დამფუძნებელ კრებაში.

### წერილი პირველი.

ქრისტე აღსდგა! ჩემო კერძო საკუთრებასავით საყვარელო და მოსვენებასავით სანატრელო ბიძავ, დამფუძნებელო კრებავ. იცოცხლეთ და იყავით შახათ, კორჩხლათ. გული გქონდენ კერკეტასავით და ერთწამაიც არ დაგავიწყდენ ნოე ჟორდანიას ლოზუნგი: არც მარჯვნით, არც მარცხნით. წვრილ მესაკუთრე დემოკრატიას უნდა მოეზუკუტუროთო. ჰოდა, იმას თქვენდონი გამოცდილება ფეხის ნეკში აქ. ასე ბიძიებო, ჰკუით. პრასას გაწყენენ მაი ყაზილარი ბალშევნიკები, ჩვენ ორ ქცევა მიწას თავს დავასისხლავთ. ტყულათაი, რაც უნდა იგი ილაპარაკოს ქართველ ების პურიშკევიჩმა ვეშაპელმა, ძაღლის ყურყულსავით გეიარს.

აგი ყველაყაი ასე მარა, ჩემი ბატონი შენ ხარ, თქვენ აფერს დაგიმალავთ და პაწაი გულს კი მაკ ლია. ვინცხა ყაზილარებმა რომ გამეიწვეს იქინეი ენა—მთელი ხაზინა გლეხებს აქვენ, ზედ აჯდიან და უნდა უკან გამოვლლიტოთო (დავლახთა მათი ყოლიფერი, გლეხობა მევიცილეთ მგონია და პატიოსანი თავისუფალი მოქალაქეები ვართ), იმდენი ცხონდა იგენი, მართალს ჩიოდენ.

იგი კი არა და, ნამუსათ გეტყვით:—უმრავლესობას ნიფ... (უკაცრავათ) პერანგი და მისი ამხანაგი არ გვაცვია და ნაფხანი ნაჯილდოვებ ცხენსავით გვაქ ზრუგი. ამ სააღდგომოთ ერთი ბლუზაი მქონდა, ბლუზაიც იგი იყო ჩემი და პერანგიც. ჩამაფრინდა ჩასაკავებელმა ქალმა—ოჯო დავრეკოთ და ერიცახეს შეისვენებო, გამაბრიყვა—გევიშპე, გავშალეთ დოჩხაურს მაღლა ენქერსავით. დააქანა—ავაქანე, დააქანა—ავაქანე, დააქანა—გამშპა ხელში, ვდგუნე ცეცხლში და დავრჩი სააღდგომოთ ტლიკვათ. შენი ბრალი იყო, ჩემი ბრალი არ იყო, შენი ბრალი იყო,—ვიდავეთ და ვიჭიჭყინეთ სალამომდი, დაღამდა და სამ ღამეს არ წავკარებივართ ერთმანეთს. გადავბრუნდებოდი—გადაბრუნდებოდა, გადმობრუნდებოდა—გადავბრუნდებოდი და ახლაც ნიკრით უყურებთ ერთმანეთს. ახლა, რა ვიცი, აღდგომას რომ თქვენ ამის კითხვაში იქნებით, თქვენი ზალიკაი ეგება გაჩხირებული ეგდოს ლოგინზე, ან მოვალეები არ გამითენებს და ან ცოლ-შვილი და თუ ისთე უბედური ვარ, კიდო გადავრჩი,—თქვენთიან ერთი გორიცაი ამბავი მაქ მოსაწერი.

შხანკოლა.

---

## მელია და ქათმები

(არაკი)

ერთხელ მშიერმა კუდა მელამა,
რომ ვერ იშოვა ლუკმა ვერსადა,
დაიწყო სოფლათ წანწალი, ძრომა
როგორც ეს ჰქონდა იმას წესადა.
შეცუცქდა გლეხის საქათმის ქვეშა
რა დაინახა ზემოდ ქათმები,
პირ-ნერწყვიანმა ამოიხვნეშა
და მათ შესძახა ტკბილი რითმები:
,,ეჰ, მეგობრებო,
გულის სწორებო,
ჩამსხდარხართ ერთად, როგორც ტუსალი!
ჩამოდი ქვემოთ,
სიტკბო ვიგემოთ,
გადავიაროთ ეს მინდორ-ბაღი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვემუსაიფოთ ერთი მეორეს
ამბები ვიცი ათასი გვარის,
მანდ, ზემოდ ეხლა სიცხე გაწუხებთ
და ქვემოთ კარგი ჰაიერი არის“.
მამალმა უთხრა: ეგ მართალია—
ტყვესავით ვზივართ ამ კარიაში,
მაგრამ რა ვქნათ რომ შიში გვაქვს მხეცის
და ვერ გავდივართ ღამ ღამე კარში?!
— რომელი მხეცის, ჩემი ხომ არა?
მართალი მითხარ თუ გწამს გამჩენი.
— დიახ, აგრეა ჩვენო მელიავ,
შიში გვაქვს სხვების და თანაც შენი.
— ჩემო კეთილო, თქვენ არ გცოდნიათ
ეხლა ქვეყანა რომ შეიცვალა?
მხეცებისაგან ამ ჩვენმა მხარემ
იგიც ეყოფა რაც რომ იწვალა.
კანონებია გამოცემული
ახალი მეფის, იმ ჩვენი ღმერთის,
ეხლა მხეცები არავის ერჩის
ყველა ძმები ვართ აწ ერთმანეთის.
— ეგ თუ აგრეა, კარგია, თორემ
აგერ რომ ძაღლი მოდის, მურია,
იგი ხომ კარგს დღეს არ დაგაყრიდა
რომ იყოს ქვეყნად მტრობა-შურია?
— ძაღლი მოდისო?—გაიგო მელამ—
და კვლავ მოკურცხლა უკანისკენა,
მამალმა უთხრა: კარგო სტუმარო,
რამ შეგაშინა, რომ მირბი შენა?!.
აკი ამბობდი, ეხლა მხეცები
აღარ ერჩისო არავის, მგონი!
მაშ ძაღლი ეხლა ხომ შენი ძმაა,
თუ გამოიცა მართლა კანონი?,.
— ეჰ, ვინ ენდობა, ეგებ ჯერ იმას
ეს კანონები არ წაუკითხავს
და მაშინ ძაღლი, ყველაზე მხეცი,
რას შემიბრალებს, რას გამიკითხავს?!
ეს წარმოსთქვა და გაჰქრა მელია,
მამალმაც ჰკადრა სიტყვა მართალი:
— შენსავით მხეცი რომ მოსპოს ქვეყნათ
დიდხანს ვერ მოვა ის სამართალი.

გურიანთელი

# გურული სც...

### მაკრინე და მარინე.

**მაკრინე.** დედავ, ათასი მადლი უფალს, რ
ცოცხალი მყავს შენი თავი ჩემო მარინე. რა ში
ქალო, როვა გყავს ქმარი, შვილი, რძალი, მულ
მაზლი დედამთილი, მამამთილი, ყველაყაი, ყვე
კაი—სახლის ნახვეტიანა.

**მარინე.** ბუნებამ და ღმერთმა მიცოცხლა
ნი თავი სანამდი ქვეყანა არ გეზიზღებოდეს, პერ
გი გეზიდებოდეს. რა ვქნა გულო, ვათრევ ვაქ
რებულ სულს. გოგიეი ღრიკელიო, ყოველი დ
ვიკელიო,—ისეა ჩვენი საქმე, აღარ არის ღონ
გაგვშპა ტყავი კუდის რიკამდე, წინ და უკან ხედ
ვიფარებთ ყველაი ისე დავდინდრიქდით. კურო
სიკვტილიო, სწორეთ ისე მოგვადგა იქედან ათა
ნაირი გადასახადი, აქედან აღდგომა რომ ღმერთ
მშვიდობით გაათენოს აღარ ვიცი ვის შევუძვრ
ღმერთი გუუჩენს ლანჩხუთის დუქნებს ცეცხლ
რავაც ერთიგზობა გადიბრაწა. კიდო ვითამ რაც
ქალაქის თავი იძლევა პაწეი მოვლეთათ, მარა რა
ერთი ტუმარაი ფული წევიღე და ერთი პლატ
კაი ჩინთა ჩუნთაი მომაქ.

**მაკრინე.** უი დაიავ, შენ ნუ ცოდავ ღმერთს.
იპწკინე, რაცხა მაინც ქე გიყიდია. ისე სხვაფე
იქნებოდეს მშვიდობა თვარა, სიძვირიზა ძუას რა
გავაქანებ. ქათამი მყავს და კვერცხი, სიმინდი
ლობიეი. იგენის ჰინჰი მჭირია, რავარც . მომყ
დიან ისე მივყიდი, მომიმატებენ მუუმატებ, ამიწ
ვენ უუწევ და თუ ვერ შევსტობი და გავშიშვლდ
ბი—ჯანი გავარდეს. ცხვირ პირი თუ მუდამ შიშვ
ლი გვაქ ერთი იმანაც დეინახოს მზის სინათლ
ვითამ რა იქნება?

**მარინე.** შენ გამომიწყტი-აღარა მიდღემჩი ლ
ლანცუროობ. დასუ ახალი ამბავი გამახსენდა, რაც
ხა მოპროტეს ბალშენიკებზე თუ მართალია. რუ
სეთში დელიკინი გუუნიავებიან და ახლა უკინდა
მიდან ჩვენ მოგვდგომიან.

**მაკრინე.** უი დედავ რა მითხარი აი საჯაყი
ღმერთს დუუჯერე ღმერთმა დეიცვას თვარა იგენი
მოდგომას გირჩონოდეს თათრებმა და სომხებმა მო
გვადგეს.

**მარინე.** აგია გულო, სიბერის ხანს სიქაჩლე
ვითამ რა იქნება ერთ ყაძახს რომ ჩავფრენივართ
ერთი ომში ცოლობაც გამოვცადოთ. შაქრათ შენ

თან მუსაიფი მარა ბზეიც ქე ჩაკანკალდა — მშვიდობით (მიდის).

**მაკრინე**. მშვიდობით მომელოცოს ალდგომა, ნახვამდის გულო (ისიც მიდის)

**შხანკოლა**

2

— გამარჯობა ალექსავ შენი! სა იყავი კუტა!

— ღმერთმა გამარჯობა ნუ მოგაკლოს, სა ვიყავი და ჩოხატაურში ძამიავ.— შენ სათ იყავი მაქსიმელა?

— მე სა ვიყავი და სამტრედიაში სუდთან საქმე მქონდა, მერე და არ იკითხავ რაფერი საქმეა სუდში? რაც ახალთაობა გამოცხადდა მერე გაკეთთა საწყალი კაცის საქმე; სამტრედიაში დაუნიშნავენ სუდია და არ იკითხავ რაფერია? პირდაპირ ხთისნიერი კი ყოფილა იგი ოჯახაშენებული. ამტელხანს იმისთანაი წყეული სუდიები იყო, რომ არც ქრთამს გამოგართმევდა და არც საქმეს გაგიკეთებდა. ახლა ძამიავ იი კაცი თუ რამეს გამოგართუმს გინდ მტყუანი იყო და გინდ მართალი, საქმეს მაინც გაგიკეთებს რაც უნდა დაემართოს.

— დედავ და, მაქსიმელავ, რეიზა გინდა მომატყუო ამტელი ხნის კაცი? შენ გონია მე არ ვიცი სამტრედიის ამბავი? პაწაი რომ ვიყავი მას მერე სულ იქინეი დავდივარ. (ნუ გეშინია თიფლისში არ გევეშვი ჩემ ოლღაიას) გუშხამ კიდომ საქმე მქონდა მე და ლუკაიას იქინეი; ვიფიქრე, მოდი ერთი კაი ძღვენი წოუღო სუდიას მეთქინ და იქნება საქმე გამიკეთოსთქო, ავდექი ბიჭო და, ხრ გამიშვია შინ აფერი: ერთი პაწაი გუდა ალადასტურაის ღვინო წოუღე, ერთი კაი შემწვარი გოჭი და ორი კელამიდაი ხაჭაპურიც; მაშინ ქე დამპირდა იმ ოჯახქორმა, შენი იქნება ყორიფელიო. დასედანიაზე რომ მივედი, ქიარ მომისპო! — იმას მიესპო დღეი. მერე არ იკითხავ მაქსიმელავ რაფერათ ყოფილა საქმე? თურმე ლუკაია გასაციებელს ჩემზე მეტი მიეტანა ყორიფელი და იმან შეაცთინა იგი სუდიც ვინცხაა.

— აბა რავა გინდა კუტავ, იმასაც ჭამა უნდა და რა ქნას. მაგას ნუ კი გუუმტყუნებ არ მოქცეულა არც იგი გლახათ, ვინც მეტი მიცა, იმას გოუკეთა საქმე, აბა რავა გინდა? მაგრამ კაი საქმე არც იმას მოსვლია ძამია, როგორც გავიგე. თუ შენი დედალი იმან ტყულაი შეჭამა მისი დედლებიც გოუწყვეტია ჭირს საჯაოხოში და ახლა თურმე საკუთარი ვაგონით თიფლისში წოუღია იქ უნდა დავასაფლავოო.

**პაწაი წელკავი**



## საამდროვო კუპლეტები

(ვაი-ვუი გურულ კილოზე)

—მახსოვს ძველათ ძმაო,
ვაჭრებს აგინებდენ:
ჩარჩებს უწოდებდენ,
წურბლებს ადარებდენ.
დღეს ვინ არ გადიქცა
სპეკულიანტებათ?!
რომელი წინ-უკან—
ერთმანეთს აკვტებათ.—ვაი-ვაი და სხვ.

— რაღა გაუმტყუნოთ
ქალაქთა კავშირებს,
ან სულ რომ ჩარჩობდა
იმისთანა პირებს?!
ყიდულობს და ყიდის
სამაზრო ერობა,
აგერ ტიკს მოათრევს
თემის გამგეობა.—ვაი-ვაი...

— გინდ დაბლა მიხედეთ,
გინდ აყევით ზევით,
ყველა თავს იწონებს
ფასების აწევით.
სხვას თუ აფერს იქმენ
ეგ საქმეა განა?
ენამ დრო მოჭამა—
მიხვთა დღეს ქვეყანა — ვაი ვაი...

— სხვა ქვეყნიდან ძმაო,
აფერი მოაქვენ
და აქ თვითონ ჭამენ
თუ კი რამე აქვენ.
ქალაქში იყიდონ,
სოფლათ გაასაღონ
და ამით სურთ განა
საქმე გააჩაღონ?!—ვაი-ვაი...

**ხიც-ხი,**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის მოქალაქენი მოლოდინში.



— მოქალაქენო! წავიდეთ სახლში, ტყუილათ შევსცქერით ჩვენს მომარაგების მინისტრს, როგორც ეტყობა არაფერი არ გამოვა.

## ალდგომის სალამი

(პროვინციელ მეგობრებს).

ქრისტეს აღდგომას გილოცავ,
**ჭიათურელო გოგია**!
შენ არ ხარ იგრე ზარმაცი,
როგორც რომ ჩვენში ზოგია.
სცენებს სწერ სომხურ კილოზე
მეტის მეტ სასაცილოსა,
(მაგრამ შენს ძველსა „მათრახსა“
ნუ დაივიწყებ შვილოსა).

—

ქრისტეს აღდგომას ვულოცავ,
**ცხვირაძეს**—ოზურგელსაო
და ცნობილ ძველსა მესტვირეს
**ბლიკვაძეს** – ბათუმელსაო.
კარგი იქნება ხანდახან
ამოიწმენდდენ ყელსაო
(და კვლავ გვასმენდენ ღიღინსა—
სატირელ-საცინელსაო).

—

ლანჩხ თელ ფხიზელ **შხანკოლას**
ვულოცავ აღდგომასაო,
მთელი იმ კუთხის რაიონს
სავსებით ვანდობ მასაო.
ვიცი მოიწყერს ამბებსა
სატირალ-საოხუნჯოსო,
(რომ ზოგი ძალზე აცინოს
და ზოგიც დაამუნჯოსო).

—

გილოცავ ქრისტეს აღდგომას
ოზურგეთელო **პიტნაო**,
იქნებ სთქვა: აღარ მჭირიხარ
და სულაც არ გეპიტნაო.
მაგრამ ხანდახან დასძარი
შენი კვიმატი ენაო,
(გისურვებ რომ არ მოგაკლდეს
ამ სააღდგომოთ **ლხენაო**).

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაესწრას მრავალს აღდგომას
ჩვენი ფოთელი **შოველი**,
რომ კვერცხი ჰქონდეს წითელი
და სანოვაგე ყოველი.
ვაბარებ ფოთის ქალაქსა,
უზამდეს რევიზიასა.
(კი არ ჩამორჩეს ბუტუნას
თავის ნაცნობსა „ძიასა“)

—

ქრისტეს აღდგომას გილოცავ
ჩემო პატარა **წაველა**,
არ ვიცი, ეხლა ვის ეტრფი,
სადა ხარ, საით წახველა.
თუ ცოცხალი ხარ, გეთაყვა,
რისთვის არ იწყებ კბენასა?
(გვაცნობე შენი ამბავი
კი ნუ ჩაიკმენდ ენასა).

—

აღდგომას მრავალს დაესწრას
**ფონ-ტეფო** — ხაშურელია,
ჩაარაკრაკოს ლექსები,
ამოიწმინდოს ყელია.
განა ქვეყანა გასწორდა,
აღარ გვყავს ტურა-მგელია?
(გვითხარი რამე, ძმობილო,
შენი სიჩუმე ძნელია).

—

დანარჩენებსაც საერთოთ
ვულოცავ ქრისტეს აღდგომას,
ვუსურვებ (დღეის დღეს მაინც)
ლაზათიანათ გაძღომას.
ბლომათ ეჭამონ — კვერცხები,
ქათმები, ხაჭაპურები,
(იქეიფონ და ილხინონ,
არ ჩამოყარონ ყურები).

მათრახოსანი



ქრისტე აღსდგა!



# ღალატი—ღალატისათვის.

ბოკაჩიოსი.

ქალაქ სეინში ცხოვრობდენ ორი მდიდარი ახალგაზრდა ყმაწვილები, კარგი ოჯახის შვილები და ორივე ცოლიანები. ერთს ერქვა სპინოლოჩო და მეორეს ცეპა. ამ ორ მეგობარს ერთმანეთი განუსაზღვრელად უყვარდათ; ორივეს ლამაზი ცოლები ჰყავდათ. სპინოლოჩო ხშირად დადიოდა თავის მეგობრის სახლში, გაეცნო დაახლოვებით მის ცოლს და შეუყვარდა იგი. მეგობრის ცოლმაც სიყვარულითვე უპასუხა. დიდ ხანს იყვნენ შეუმჩნევლად ეს ორი მტრედნი. არავინ არ ფიქრობდა, რომ სპინოლოჩო თავის მეგობრის ცოლს ყვარობდა. დიდი ხნის შემდეგ ცეპამ ეჭვი აიღო, რადგან მის ცოლსა და სპინოლოჩოს ერთმანეთთან მოქცევაში გადაჭარბებული სინაზე ეტყობოდათ.—რომ დარწმუნებულიყო ცეპა თავის ეჭვში, ერთ მშვენიერ დღეს, იმის მაგიერ, რომ წასულიყო ქალაქში სავაჭროთ, იგი დაიმალა და დაუწყო თვალ-თვალი **სპინოლოჩოს**. ლოდინი დიდხანს არ დასჭირვებია, სპინოლოჩო ხელად გაჩნდა. დარწმუნდა რა რომ

ცეპა სახლში არ იყო, გადაეხვია თავის საყვარელს და დაუწყო კოცნა. შეწუხებული ცეპა ორნაირი ღალატით გულში იკლავდა სიბრაზეს და ფიქრობდა მხოლოდ იმაზედ, თუ როგორ გადაეხადა სამაგიერო თავის მეგობრისათვის. შეყვარებულნი ხელი ხელ ჩაკიდებულნი წავიდნენ საწოლ ოთახისაკენ. ცეპამ უკვე მოიგონა ხერხი, თუ როგორ უნდა გადაეხადა სამაგიერო და მოთმინებით იტანდა შეურაცყოფას. წავიდა თუ არა სპინოლოჩო, ცეპა მაშინვე შევიდა ცოლის ოთახში, ცოლი მეტად შემკრთალი და დაბნეძილი დახვდა.

— აქ რას აკეთებ? შეეკითხა ქმარი.

— ხომ ხედავ რომ რიგზე ვერა ვარ, თმას ვისწორებ.

— დიახ, რიგზე რომ არა ხარ მეც გატყობ, ეგ არ შეშვენის ერთგულ ცოლს და ცეპამ გადუშალა თვალ წინ ცოლს თავის ყოფა-ქცევა. ცოლს საქციელი წაუხდა და მეტი გზა აღარ ჰქონდა, გამოტყდა და ტირილით ქმარს პატიებას შესთხოვდა.

— შენ მე დიდი შეურაცყოფა მომაყენე—გაპატიებ, მხოლოდ ერთი პირობით: შენ უნდა შეასრულო ის, რასაც მე გიბრძანებ.

ცოლი ყოველივეზე დათანხმდა.

— მაშასადამე შენ ხვალ დაიბარებ სპინოლოჩოს—სთქვა ქმარმა—ცოტა ხნის შემდეგ მეც მოვალ, გაიგებ თუ არა ჩემს მოსვლას, სპინოლოჩო მაშინვე ზანდუკში დამალე. როდესაც შენ ამას შეასრულებ, დანარჩენს მერე გეტყვი. შეასრულე ჩემი ეს ბრძანება და მე ყოველივე შენ შეცდომას დავივიწყებ.

დამნაშავე ცოლი შიშით ყოველივეს დათანხმდა.

დილაზე ცეპა და სპინოლოჩო ერთად იყვნენ. შუადღისას სპინოლოჩოს გაახსენდა თავის საყვარელთან რომ მიწვეული იყო, გამოემშვიდობა თავის მეგობარს, მოიმიზეზა ვითომ დაპატიჟებული იყო ნაცნობთან სადილათ და გასწია თავის სატრფოსთან.

სპინოლოჩო ის იყო შევიდა თავის საყვარელთან, რომ კიბეზედ ხმაურობა შეიქნა, ცოლმა, ვითომ ქმარის მოსვლით შეშინებულმა, სპინოლოჩო ზანდუკში დამალა და ზედ კლიტე დაადვა.

ცეპა შემოვიდა ოთახში და ჰკითხა ცოლს: მზათ არის თუ არა სადილიო.—მე ეხლა სპინოლოჩოსთან ვიყავი, ჩემი მეგობარი ნაცნობთან სადილათ წავიდა, მისი ცოლი ახლა სახლში მარტოკა იქნება წადი და დაპატიჟე სადილათ ჩვენთანო.

ცოლი აგრე მოიქცა. ცეპამ დიდის პატივისცემით მიიღო თავის მეგობრის ცოლი. თავის ცოლი კი გაგზავნა სადილის მოსამზადებლად, მეგობრის ცოლს ხელი გამოსდო და შეიყვანა იმ ოთახში სადაც სპინოლოჩო ზანდუკში იყო ჩაწყვდეული.

— ეს რას ნიშნავს? ჰკითხავდა ცეპას გაკვირვებით ქალი,—რა გემართება ცეპა!! ეგ არის თქვენი მეგობრობა?!!

— მომისმინეთ ქალბატონო, უთხრა ცეპამ, მოჰკიდა ხელი და ზედ ზანდუკზე დასვა თავის მეგობრის ცოლი. მე მიყვარდა და მიყვარს შენი ქმარი, როგორც ჩემი საკუთარი ძმა, მაგრამ მის მეგობრობაში მე უკვე ეჭვი შევიტანე. დანამდვილებით ვიცი, რომ ის ჩემ ცოლს ყვარობს. მე ეს ჩემი თვალით ვნახე, მე მინდა იმას სამაგიერო გადაუხადო. თუ თქვენ ამაზე არ დამეთანხმებით, მაშინ მე მას სასტიკად დავსჯი. ცეპამ დაუმტკიცა თავის სიტყვების სინამდვილე და ლამაზიც დათანხმდა წინადადებაზე, მხოლოდ ერთს სთხოვდა, თქვენ ცოლთან ნუ გამამხელთო, არ მინდა მასთან მეგობრული განწყობილება დავარღვიოვო, მე მისთვის ყველაფერი მიპატიებიაო.

— დამშვიდებით ბრძანდებოდეთ, უთხრა ცეპამ, სამაგიეროთ მეც თქვენი თანაგრძნობის ნიშნად ძვირფას საჩუქარს მოგართმევთო.

ორივე ახლად შეყვარებულნი ზანდუკის თავზედ მოთავსდნენ და მიეცნენ თავ-დავიწყებას.

სპინოლოჩოს ყოველივე ეს საუბარი ესმოდა. მეტის-მეტი სიბრაზისაგან კბილებს აკრაჭუნებდა და თავის ხორცს იგლეჯდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს რომ დაფიქრდა დამშვიდდა, იფიქრა რა უყოთ ცეპა მხოლოთ სამაგიეროს მიხდისო და გადაწყვიტა ისევ ცეპას მეგობრად დარჩენილიყო.

რამოდენიმე ხნის შემდეგ სპინოლოჩოს ცოლმა მოკითხა ძვირფასი საჩუქარი ცეპას. ცეპამ ცოლს დაუძახა და უბრძანა ზანდუკის გახსნა.

— აი თქვენ ძვირფასი საჩუქარი,—უთხრა ცეპამ თავის ქმარზე.—ძნელი გამოსაცნობი იყო იმ წამს, ვინ უფრო დარცხვენილი იყო—სპინოლოჩო თუ მისი ცოლი.

დარცხვენილი სპინოლოჩო მიუახლოვდა ცეპას და უთხრა: ჩვენ ეხლა ქვითა ვართ. დამერწმუნე, რაც მოხდა ეს სრულებით ხელს არ შეუშლის ჩვენ მეგობრობას. აქამდის ჩვენი ცხოვრება გაუყოფელი იყო ჩვენ ცოლებს გარდა, აწი ცოლებიც საერთო იყოს. და ამ დღიდან თითეულ ქმარს ყავდა ორი ცოლი და თითო ცოლს ორი ქმარი, იგინი ბედნიერათ გრძნობდნენ თავს...

ხა—მი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მესტვირული.

პირველ ყოვლისა მსურს გაცნო
ადგილი განაპირია,
(თქვენი ჭირიმე, ამას გთხოვთ,
არ დარჩეთ განაკვირია).
კულაში ჰქვია სახელათ
კულტურის ფესვი, ძირია,
მაგრამ იქ ბევრი ბრძანდება
საცემი — ასაყირია.
და მეც ავიდე ქამანჩა
(ვახსენე ბერი, მწირია).
გუდა მუცელზე მოვიდე
ავალილინე სტვირია.
გამოვეთხოვე ჩემს სატრფოს
გადაუკოცნე პირია —
(რადგან მგზავრობას დღეს ჩვენში
ხიფათი დასდევს ხშირია)
და კულაშის გზას გაუდექ
სიცოცხლე განაწირია.

ქაჯაიების ქუჩაზე,
სადაც დგას მუდამ ღვარია,
სადაც დამხრჩვალნი სულდგმულნი
გვინახავს მრავალ გვარია.
სადაც ვერ გადის კამეჩი
ღონიერი და მძღარია —
ძლივსღა გავცურე ფონითა
და გაველ ცოცხალ-მკვდარია.
(ვერავინ ვნახე იქ ახლო
მერტყა მათრახის ტარია).

ბრაელების ბაზარში
როგორც შევყავი ცხვირია,
მართალი გითხრა, ვიგრძენი
ტანჯვა და გასაჭირია.
კიდევა კარგი, ბლუზითა
მე ავიკარი პირია
და მთლად ბედისგან არ გავხდი
დანაგმობ-ანატირია.
თორემ ისეთი სუნი სდგას
კაცს გაუჩნდება ჭირია,
ველარ გაუძლებ სიმყრალეს,
რაც უნდა იყო გმირია.
(აქ კი მათრახი მაგარი
ეროზის ხმოსნებს სჭირია).

როგორდაც იყო, გავცილდი,
გადავიარე ზღვარია,
ქაჯაიისა აფთექის
შევაღე უცებ კარია
და ფარმაცევტკას შევსთხოვე
„კაპლი“ მე ორი ცვარია,
თან აუხსენი მიზეზი
და ცრემლი დანაღვარია,
(მაგრამ ტუჩისა აწევით
მითხრა მან ცივი ვარია).
რაღას ვიზამდი... გავშორდი,
დავხარე დაბლა თავია,
წინ გადმეშალენ ფიქრები
აჩრდილივითა შავია.
სწორედ რომ მაშინ ვიყავი
მე ცუდი სანახავია,
აღარ მახსოვდა მე სტვირი
და არცა ჩემი მკლავია.
(დავსწყევლე ებრაელების
ბაზარი გულ-საკლავია)
რომ მომეპოვა სიმშვიდე
დიადი, სანატრელია,
კოპერატიულ დუქნისკენ
შევყევი, როგორც მელია.
იქა დამიხვდენ ბლომათა
მე ნაცნობები ძველია,
გადამეხვივნენ კისერზე —
შეიქნა კოცნა ცხელია.
(ერთმა ბარიშნამ მომისვა
ტუჩებზე ენა სველია).
რა რო მინახეს მათრახი
და სტვირი გამობმულია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქყისვე შეინძრნენ, ლაქუცით
ვითომც მომილბეს გულია.
დამიწყეს ქება-დიდება
მოქარგულ-მოკაზმულია,
ოქროს სიტყვებით აკინძეს
მოძღვნილი სიხარულია.
დუქანშიც შემიპატიჟეს
—გვაქვსო უზომო ფულია,
ბოლშევიკების შტაბიდან
წინა დროს მიღებულია.
ეს რომ ვისმინე მესტვირემ,
მყის შემიწუხდა სულია,
ამოვაძვრინე წელიდან
მათრახი დახლართულია,

(მოვსცხე და მოვსცხე „ბანდისტებს"
დაურთე წყლულზე-წყლულია).

რა კი დავიცხრე სურვილი
და თან ვიძიე შურია,
ვასო მინდოდა მენახა
არ ეთქვა საყვედურია.
(გიმნაზიისა ამბებს
მოვკარი შორით ყურია,
რაზედაც ხალხში ტრიალებს
დღეს ხმები უმადურია)
მაგრამ გავიგე მე გზაზე
(საწყალი, უბედურია)
კარდახვეწილა სადღაცა
ქანქარით მონაწყურია.

(ეხლა სხვა ფიქრობს იგემოს
კულაშის თეთრი პურია)

კუხელაშვილიც ვერ ვნახე—
აწორ-უპოვარი მღვდელია,
ვერც დანელია, მერგელი
(ბიჭი, ესფერთა მცველია).
ვერცა პაპავა „დიპლომით"
მუბლი რომა აქვს სქელია,
ვერც ლიდა „რუსის ასული"
ქართველთა შემრცხვენელია.
ვერც ბლალოჩინი ჩაჩუა,
ვასოს მარჯვენა, მხსნელია,
ვერცა ნატაშა, ვერც ლოლა
ქალწულნი გულ-მკერდ ცხელია).
ეს კრება პედაგოგების
კულაშის მნათობელია,
ჩემი გულისა კი ყველა
უდროოდ დამკოდველია.

და მიტომც მსურდა გადმეკრა
მათთვის მათრახი მწველია,
რომ ლაჩარ გლადიატორებს
ჩხუბზე აელოთ ხელია
(მაგრამ, იმათი იღბალი,
ვერ ვპოვე მათი ხვრელია)...

ჭაგნელი ბზიკი

## ხათაბალა ჩემს თავზე.

ჩემო თავო ეს რა მოგდის,
ჩვენები რომ აქე – აქე!
განა ამით შეიქენი
ბედნიერი მოქალაქე?!
იქ თეთრ პურსაც მიირთმევენ
და მჭადი კი არ მაქვს აქ მე,
რა დღეში ხარ ჩემო თავო,
როგორ არის შენი საქმე?!.

—

იქ სასახლე ბრწყინავს, ელავს,
განცხრომა აქვთ და სიამე,
მე კი—სახლში ჭრაქიც არ მაქვს
და ბნელში ვარ მთელი ღამე!
ვინც რამე სთქვა იმათზედა,
შეედავე, ბევრჯელ დაჰგმე,
დღეს რას ფიქრობ ჩემო თავო,
როგორ არის შენი საქმე?

კუკუ



მოქალაქის ფიქრები.



# ბალშენიკი ცოლი

ოხ, რა ჭკვა დავნაყე, რანაირათ დავიღუპე! არა, რა მრჯიდა: მე პირძაღლს, მე დარდაკს, ვყოფილიყავი ჩემთვის, რა დროს ცოლის შართვა იყო ამისთანა ათქვლეფილ დროში!!

ქრისტიანო, ქვეყანა იქცევა, შიმშილით ვნუტრენი უსტროისტვას მოშლილი დროგივით გააქვს გრიალი და ამისთანა დროს რა მეცოლებოდა, თუ მე ტვინდაობებული არ ვიყავ! მაგრამ რომ შამიჯდა ეშმაკი და აღარ მომასვენა! მაინც და ისე ვიყავი ატეხილი, რომ ვიცოდი ნესჩასტიას ვერ ავცდებოდი, მაგრამ რომ არავის დაუჯერე! ვაი, ჩემი ცოდვით დაიწვას ის მარჭაკალი, ვინც მე გამაბრიყვა და ცოლი შამართვეინა!

არა, რომ მოსდგა ის ენა წაგდებული და აქო: ,,ამისთანა ქალია, იმისთანა, შაგნებული!. მეც ვიფიქრე თუ, დღეს განათლებულ დროში ვცხოვრობთ და, რაკი შაგნებული ქალი ყოფილა, შავირთავ რომ მეც განათლებულ ობჩესტვაში ფეხი მედგას მეთქი. ვაი, განათლება კი არა, ცოლის შართვას ის არ მერჩია, რომ სულ უკუმეთ ბნელაში მჯდარიყავ ამინის უკუნისამდე!!.

მერჩია, ჭეჭმარიტათ მერჩია, მაგრამ რა ვიცოდი თუ ამ ნესჩასტიაში ჩავვარდებოდი! რა ვიცი, ქალს რომ შავხედე აღდგომის ღამის მარსკულავივით ლაპლაპებდა! მეც ეს ოხერი ცოტა ამ ღამაზი ქალების ახოტნიკი ვარ და ეშხისაგან სულ დავიბნიდე, ვსთქვი თუ ჩამივარდა ხელში ფეთხაინის კლაპტარი, ავანთებ და მოუჯდები ამ სანთელს მეთქი! ილოცხლე ავანთე და მოუჯექი კიდევაც, მაგრამ ვაი იმ მოჯდომას! კლაპტარი კი არა, კუპრი, შავი კუპრი რომ დამენთო და იმაში გადავუდებულიყავი ათას წილად მერჩია ჭეშმარიტად!

„ვერიდებოდი ღოლოსა, დამიხვდა სოფლის ბოლოსაო“, რომ იტყვიან სწორეთ ეგრე მამივიდა ღლა!

სხვისი მეშინოდა და ჩემი სა[illegible] ცოლი ბალშენიკი არ გამამადგა!!! მერე [illegible] მამალი ბალშენიკი!!. უბატონოთ ხმას ვერა ვცემ და შიშისაგან მუხლის ნევრები სულ მიკანკალებს! მეშინიან, ვაი თუ დამთხლიშოს რამე და ქურდი კატასაგით ცხვირი მიმიჩეჩქოს მეთქი! მერე თუ რამე მქონდა სახლში გამააქვს, ხალხნო და შილაფლავივით ურიგებს ქვეყანას ჩემს ქონებას! ყოველდღე სულ რაზნი რაზნი კავალრები მოსდიან სახლში! სჭამენ, სომეს და მიდიან თითქოს ჩემი სახლი ბეზპლატნი სტალოვია იყოს! ვეებნები: დედაკაცო, თუ ამდენი ჟენიხები გყვანდა რაღაზე მამთხოვდი, რაღაზე მაიკიდე ჩემი ცოდო მეთქი!

„რაო, ჟენიხებიო! ჟენიხები კი არა, ტავარიშჩები არიანო!“ ერთი ისეთი დაიყვირა და დამეტაკა, თითქოს ორი წლის ნასუქი ტახიაო! აი, შე ბურჯუავ, შენაო და ფჩხილებით კინაღამ თვალები გამომაკაწრა! მინდოდა ერთი წამომექცია და რიგიანათ დამეზილა, მაგრამ სრაზუმ იმისი ტავარიშჩები წამოშაღდგნენ ფავზე და მეც შიშით სალდათსკი მიშენიასავით გავჩერდი! რაღაცა წასჩურჩულეს ჩემს დედაკაცს და მეებნებიან: „როგორაო, შენ ნებას არ აძლევ სლაბოდნი ღრაჟდანინს რომ სობრანიაზე წამოვიდესო!“ ვეებნები: ხალხნო, ეს რევოლუცია ხომ მოახდინეთ, რაღა სობრონიები გინდათ?! ან და რა დედაკაცის საქმეა სობრონიები, რომ აუღია თავი და მთელი დღე დაალაჯუნებს მეთქი! —„ჩვენ უნდა მოვემზადოთ, რომ უფრო გავარღმაოთ რევოლიუციაო“. — კაცო, რაღა ჩემი ცოლიდან იწყებთ ამ გარღმავებას, სხვა ვეღარავინა ჰნახეთ მეთქი! ერთი შამამიბღვირეს, მერე ჩაიცინეს, გაუყარეს ამ ჩემ ჯვარდაწერილ დედაკაცს პორუჩკი და წაიყვანეს! ის დღეა და ის.. მე ის აღარ მინახავს! ვინ იცის ის ეხლა სად არის, ვის გულს ახარებს და მე კი აქ ყურებ ჩამოყრილი ვგდივარ ვირივით! დავრჩი, ხახამშრალი, კუდამოძუებული და შარცხვენილი! ეხლა არც საჟენიხოებში ვწერივარ, არც სემეინი პალაჟენიაში ვარ და არც ქვრივი! მე თითონ არ ვიცი რა ვარ!..

სული ყელში მომებჯინა,
გული სცემს და უკაკუნებს,
მე აქ ვგდივარ და ვინ იცის
ჩემ ცოლს ხელს ვინ უცაცუნებს!
ვზივარ დამწვარ-დახრუკული
ეს ყოფილა ჩემი ბოლო:
არც ჟენიხი, არცა ქვრივი,
ცოლიანი, არც უცოლო!

გოგია.

# ხათაბალა პროვინციებში

**სუფსა**. სადგურის წინ ვსეირნობდი,
ვნახე ერთი ტურფა ქალი:
მე შორიდან მისკენ ვრბოდი,
მანც მომაპყრა ცალი თვალი.
როცა ახლოს მიველ ვნახე —
რაღათ უნდა ლაპარაკი,
ამარიდა თვისი სახე —
(ძველი მეცვა მაშინ ფრაკი).
წამში სახლში გავიქეცი—
გავიხადე ძველი ყველა,
მიველ სალამიც მივეცი,
ვნახე ჩემი ცუგრუმელა.
მან პასუხათ შემომცინა —
ახალ ფრაკში როცა მნახა,
გაგოგმანდა ის ჩემ წინა
და სულიკოც დამიძახა.
უნდოდა რომ ჩამხვეოდა,
მაგრამ მე კი დავდე წუნი,
რადგან ცხადათ ეტყობოდა
რომ ის იყო – მაიმუნი.

ოლოლე

—

**იქიდანვე**. გასულ წელში საზოგადოების მიერ არჩეულმა ქურდების მომნახავმა კომისიებმა ,,რქლიან ხარების და კამეჩების'' აღმოჩენის მაგივრათ საზოგადოების კოსროზე აღმოაჩინეს: მოულოდნელი ხარჯები, ქეიფი, ლხენა, გრძელი ლაპარაკი, პაწაწინა საქმე და დიდი ხათაბალა, რომ საქმე არ მოგვარაჰინებულიყო და კომისიების ნაძიები ბუხარში არ გაგზავნილიყო, საზოგადოება თითონ გაიგზავნებოდა სამართალში. ყოველივე ამის შემდეგ კომისიები ,,ხათაბალაში'' იგზავნება და მათი ნაძიები საქმე დიდ დოჩხაურში.

ნიახური.

**ს ლესა**. ლესაში ამბობენ:
რა ტყის გამგე გვყავსო!
ტყეებს ისე უვლის,
როგორც მგელი კრავსო.
ნებართვებსაც ბევრს სცემს,
იღებს ორმაგ ფასსო,
ვითომც ხაზინაში
უკლებლათ მიაქვსო.
ბონებით იტენავს
ჯიბეს, პირ ღიასო
და პასუხს არ სთხოვენ
ამ დოყლაპიასო.

ლესელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოცანები.

I

(ახალციხისათვის).

ათას ცხრაას ცამეტი წლის
აპრილისა თვეში,
ჩამოვიდა ახალციხეს
ჯოხი ქონდა მხრებში.
არ ყოფილა პრაპორჩიკი
სთქვა: – ვარ გენერალი,
დიდი ცხვირით დადიოდა
შეჰმუხვნით, ვით მწყრალი...
,,მენდლები'' და ,,კასტილები“
თან დაქონდა ნელა,
ხმალსაც მუდამ ატარებდა
ხშირათ ქონდა ხველა...
სომხებთან იყო სომეხი,
სხვებთან ,,ალი ხანი'',
თერთმეტი თვე გაატარა
ასე დრო და ხანი.
კახელია, ყველამ იცის,
— ზარზმელი ვარ— თქუა
გულუბრყვილო ხალხი ზოგი
ამით მოატყუა.
ახალციხეში სამეფო
ცალკე შექმნა თვისი.
რჩევა დარიგება კარგიც
არ იწამა სხვისი,
,,შავებთა სია'' შეგვითხზა
შიგ ჩასწერა ყველა.
ვინც მის ახლოს უნებურათ
,,შეცდა'', დაახველა.
მაგრამ მალე დავინახეთ
ცრუის მოკლე ფეხი,
ბატონობა სურდა, მაგრამ
თავს დაატყდა მეხი.
გაისტუმრეს იმავე გზით,
რა გზითაც მოვიდა,
ამოძუებული კუდით
თბილისში ჩავიდა..

ვიცით, მაქით ზოგი ტუზი
მას მხარს უჭერს, მარა
ურჩევთ აწი ფრთხილათ იყონ
ჩვენი თმენაც კმარა...

ჩემი გიჟი.

2

(გორისათვის)

სახელი ჰქვია „არკადი",
ზნეობით არის ზრდილიო,
ტანათ მოსული, მაღალი,
გაქნილი — გამოქნილიო.
სატრფოსთან მეტის ლხენითა
ღამე არ მოსდის ძილიო,
ასე ატყვილებს სულყველას
ტრფობითა გამოცდილიო.
მინდა ვსთქვა სულყველაფერი,
რომ არ დავწამო ცილიო;
შეჭამა პური, შაქარი...
გვარდიელების წილიო.

ტანჯული მუშა.

3

(სამტრედიისათვის)

ერთი ვინმე ვაჟბატონი
მეტის მეტათ გათამამდა,
უწინ ტოლსტოვეცი იყო —
საქონლის ხორცს არა სჭამდა!..
ტანზე ღარიბულათ ეცვა
ხშირათ ფეხშიშველი ვლიდა,
სხვა როდესაც მუშაობდა
იგი ჩრდილში ბუზებს თვლიდა...
ეხლა მედიდურათ დადის—
მას ვხედავთ „კოსტუმებშია",
საქონლის ხორცსაც მიირთმევს,
ღვინოსაც ისხამს ყელშია.
ფეხზე კალოშებს ატარებს,
ხელში ტროსტი უჭერია!.
(ვინც ამას ვერ გამოიცნობს
ის ბრიყვია და შტერია)

ხ—ლისტი

4

(ქუთაისისათვის)

ხალხს სისხლსა სწოვდა, გასუქდა,
გასივდა, როგორც წურბელი;
სინათლეს ემალებოდა,
ენატრებოდა სულ ბნელი!
საქონელს ხვრელში მალავდა,
მოაკლო მზისა სხივები
და ასე ფასი ასწია
ათასჯერ განასივები!
გამდიდრდა, ყუთში ჩაკეცა
ახალ-ახალი ბონები
და თქვა: აწ ცოლსა შევირთავ
ჩავკოცნი, ჩავეკონები!
მეშვიდე კლასის მოწაფე
შეირთო უხმოთ, ჩუმათა;
ცოდვით დამწვარი ვაჭარი
მოძღვარს წარუდგა უმათა!
სიდედრს ფულები მიართვა,
ცოლსა კი — ბრილიანტები,
ვის არ შეაცდენს ბეშტია!
ჩარჩი — სპეკულიანტები?

ბაქურა.



## ბა[illegible]ის [illegible]რუშემო



— ბათუმი ჩემია სთქვა ხან-ხოელმა.

-- ბათუმი ჩემია, უპასუხა ნოემ.

— წავილებ უთხრა ხან-ხოელმა.

—ინებეთ, უთხრა ნოემ.



მაღალი ალაგი თავდებია გამარჯვების.

კაცი ფიქრობს ღმერთი სჯის.



უმზითვო ქალის მდგომარეობა.

თბილისი, სტამბა „სორაპანი“ მ. გაჩეჩილაძისა. რედაქტორ-გამომც. თ. ბოლქვაძე